საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №137

2025 წლის 18 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 17 ოქტომბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 17 ოქტომბრის №69 ბრძანებაში (ვებგვერდი, 18/10/2022, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017025) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №7 დანართის №7/1, №7/2 და №7/9 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 13 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**